



საქართველო

Deloitte Legal

9 ოქტომბერი 2020

## საქართველოს საკანონმდებლო სიახლეები

### იხელმძღვანელებით კანონმდებლობით

#### „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი

საქართველოს პარლამენტი განიხილავს „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტს, რომელიც 2020 წლის 13 აგვისტოს საკანონმდებლო მაცნეს ვებგვერდზე გამოქვეყნდა. ამჟამად მოქმედი კანონი მიღებულია 1994 წელს.

კანონ-პროექტი ითვალისწინებს ევროკავშირსა და საქართველოს შორის გაფორმებული ასოცირების შესახებ შეთანხმების XXVIII დანართის „საკორპორაციო სამართლის“ ნაწილში მითითებული ევროკავშირის დირექტივების ტრანსპოზიციას.

შემოთავაზებული ცვლილებები მნიშვნელოვან გავლენას იქონიებს საწარმოთა რეგისტრაციის, სადამფუძნებლო დოკუმენტების, კორპორაციული მართვისა და სხვა საკითხების საკანონმდებლო რეგულაციაზე. წინამდებარე მიმოხილვაში შევხებით ზოგიერთ ინიცირებულ ცვლილებას.

საწარმოს ხელმძღვანელობასთან მიმართებით, მნიშვნელოვნად არის წარმოდგენილი კორპორაციული მართვის თანამედროვე პრინციპები, მაგალითად: შემოტანილია ე.წ. „სამეწარმეო გადაწყვეტილების თავისუფლების“ წესი (business judgement rule), რომელიც გამორიცხავს კეთილსინდისიერების ვალდებულების დარღვევას, თუკი ხელმძღვანელი ორგანოს წევრებს გადაწყვეტილების მიღებისას გონივრულად შეეძლოთ ევარაუდათ, რომ გადაწყვეტილებას იღებდნენ საკმარისი და სანდო ინფორმაციის საფუძველზე, სამეწარმეო საზოგადოების ინტერესიდან გამომდინარე.

კანონპროექტი ერთმანეთისგან მიჯნავს კაპიტალის ტიპებს. მაგალითად, „განთავსებული კაპიტალი“ ეწოდება თანხობრივ ოდენობას, რომელზეც თანხმდებიან დამფუძნებელი პარტნიორები და მიუთითებენ სადამფუძნებლო შეთანხმებაში. სააქციო საზოგადოების გარდა, განთავსებული კაპიტალის არსებობა არ არის სავალდებულო სხვა ფორმის სამეწარმეო საზოგადოებებისთვის. სააქციო საზოგადოებათა მინიმალური განთავსებული კაპიტალის ოდენობა უნდა უტოლდებოდეს 25000 ევროს ეკვივალენტს ლარში. გარდა კაპიტალის ოდენობის დადგენისა, კანონპროექტი აწესრიგებს ამ ოდენობის მიღწევისა და შენარჩუნების საკითხებს (შენატანები), განთავსებული კაპიტალის ცვლილებების წესს, სარეზერვო კაპიტალთან, საზოგადოების კაპიტალის შემცირებასა და სააქციო საზოგადოების კაპიტალის არსებით დანაკარგებთან დაკავშირებულ საკითხებს.

კანონპროექტი აგრეთვე ითვალისწინებს საქმიანი წერილის ცნებას და აწესებს მის სავალდებულო რეკვიზიტებს; განმარტავს იურიდიული და ელექტრონული მისამართების ცნებას და ამ მისამართებზე შეტყობინების ჩაბარების წესებს; აგრეთვე, სასამართლო პრაქტიკით დამკვიდრებული შეხედულების შესაბამისად განმარტავს დირექტორსა და საწარმოს შორის არსებული ურთიერთობის სამართლებრივ ბუნებას.

## სასამართლო პრაქტიკა

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე №ას-221-213-2012.

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ, ერთ-ერთი საქმის განხილვისას, იმსჯელა კეთილსინდისიერების პრინციპის მნიშვნელობაზე და განმარტა: „სამოქალაქო კოდექსის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილენი ვალდებული არიან, კეთილსინდისიერად განახორციელონ თავიანთი უფლებები და მოვალეობანი. აღნიშნული ნორმა დეკლარაციული ხასიათის არ არის და ნდობისა და კეთილსინდისიერების პრინციპის დარღვევა ზოგადად დამრღვევისათვის ვალდებულების დაკისრების მოთხოვნის საფუძველს წარმოადგენს.“

ამასთან, უზენაესი სასამართლოს განმარტებით, ნდობა და კეთილსინდისიერება კანონთან შესაბამისობაში უნდა იყოს განხილული. სამოქალაქო კოდექსის მე-3 მუხლის მეორე ნაწილით, კანონის არცოდნა ან მისი არასათანადოდ გაგება არ შეიძლება იყოს კანონის გამოუყენებლობის ანდა ამ კანონით გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლების საფუძველი. ხელშეკრულების დადების ნდობის ფაქტორი კანონშესაბამისი უნდა იყოს და იგი დაცვადა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც პირს ჰქონდა კანონიერი საფუძველი ხელშეკრულების დადების რწმენა შექმნოდა.

# საკონტაქტო ინფორმაცია

შეკითხვების არსებობის შემთხვევაში, გთხოვთ მიმართოთ დელოიტის საქართველოს ოფისის შესაბამის თანამშრომლებს:



**გიორგი თავართქილაძე**

საგადასახადო და იურიდიული  
დეპარტამენტის დირექტორი  
[gtavartkiladze@deloitte.ge](mailto:gtavartkiladze@deloitte.ge)



**გიორგი ხუროძე**

იურიდიული სამსახურის უფროსი  
[gkhurodze@deloitte.ge](mailto:gkhurodze@deloitte.ge)

## თბილისი

### ბიზნეს ცენტრი King David

მერაბ ალექსიძის ქ. 12, მე-15 სართული  
თბილისი, 0171,  
საქართველო

Tel: +995 (32) 224 45 66

Fax: +995 (32) 224 45 69

[deloitte.ge](http://deloitte.ge)

## deloitte.ge

### დელოიტის შესახებ

დელოიტი გულისხმობს ერთ ან რამოდენიმე დელოიტ ტუმ ტომაცუ ლიმიტედის კომპანიას, რომელიც წარმოადგენს გარანტიით უზრუნველყოფილ ბრიტანულ კერძო კომპანიას (DTTL), მისი წევრი კომპანიების ქსელს და მასთან დაკავშირებულ ორგანიზაციებს. DTTL და მისი ყოველი წევრი წარმოადგენს იურიდიულად დამოუკიდებელ ცალკე პირს. DTTL (რომელიც ასევე მოიხსენიება როგორც გლობალური ქსელი „დელოიტი“) კლიენტებს არ უზრუნველყოფს სერვისის მიწოდებით. DTTL-ისა და მისი წევრი კომპანიების დეტალური აღწერისთვის გთხოვთ იხილოთ [www.deloitte.com/about](http://www.deloitte.com/about).

დელოიტი ახორციელებს აუდიტორულ, საკონსულტაციო, ფინანსური რჩევების, რისკების მართვის, საგადასახადო და მასთან დაკავშირებული მომსახურებების მიწოდებას, სხვადასხვა სფეროში მოღვაწე როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო კომპანიებისთვის. დელოიტი - კომპანიების გლობალური ქსელი, ჟურნალ „Fortune“-ს მიერ გამოქვეყნებული მსოფლიოს 500 უმსხვილესი კომპანიიდან დაახლოებით 400-ს ემსახურება 150-ზე მეტ ქვეყანაში მოღვაწე წევრი კომპანიების მეშვეობით. დელოიტი კლიენტებს უზრუნველყოფს მსოფლიო მასშტაბის შესაძლებლობებითა და უმაღლესი ხარისხის მომსახურებით, ურთულესი ბიზნეს-ამოცანების გადასაჭრელად. დელოიტში დასაქმებული 312 000-ზე მეტი პროფესიონალი გამსჭვალულია მიზნის მიღწევის იდეით. მეტი ინფორმაციის მისაღებად ეწვიეთ ჩვენს გვერდებს სოციალურ ქსელებში [Facebook](#), [LinkedIn](#), [Twitter](#).

ეს შეტყობინება მოიცავს მხოლოდ ზოგად ინფორმაციას და შესაბამისად არცერთი, დელოიტ ტუმ ტომაცუ ლიმიტედი (DTTL), მისი წევრი კომპანიები და დაკავშირებული ორგანიზაციები (ერთობლივად წოდებულნი როგორც „დელოიტის ქსელი“) ამ შეტყობინების საფუძველზე არ იღებს პასუხისმგებლობას საკონსულტაციო ან პროფესიული მომსახურების მიწოდებაზე. რაიმე გადაწყვეტილების მიღებამდე ან ქმედების განხორციელებამდე, რომელიც გავლენას იქონიებს თქვენს ფინანსებსა და ბიზნესზე, უმჯობესია კონსულტაცია გაიაროთ კვალიფიციურ კონსულტანტთან. „დელოიტი“-ს ქსელის არცერთი წევრი კომპანია არ არის პასუხისმგებელი ნებისმიერი პირის რაიმე სახის დანაკარგზე, რომელიც ეყრდნობა ამ შეტყობინებას.